ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის

პირობები RPrimo/MO - 002/23

მისალმება პრიმოსგან

მოგესალმებით პრიმოს გუნდის სახელით,

პრიმო ინდივიდუალური ურთიერთობის სივრცეა, სადაც შესაძლებლობა გეძლევათ მიიღოთ მაქსიმალურად სრულყოფილი სერვისი სპეციალურად თქვენზე მორგებული უპირატესობებით, ექსკლუზიური დაფარვებითა და განსაკუთრებული პირობებით.

ქართულ სადაზღვევო ბაზარზე 33-წლიანი გამოცდილება თამამად გვაძლევს უფლებას გითხრათ, რომ თქვენ საიმედო ხელში ხართ. როგორც პრიმოს მომხმარებელს, თქვენ გყავთ პერსონალური მენეჯერი, რომელიც შეძლებს ნებისმიერ დროს გიპასუხოთ საჭირო კითხვაზე ან დაგეხმაროთ სასურველი სერვისის მიღებაში.

მადლობა, რომ თქვენი ავტომობილის დაზღვევისთვის ჩვენ აგვირჩიეთ!

შინაარსი

ზოგადი ტერმინები 4

ნაწილი I – ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები 7

1. ტერმინთა განმარტება 7

2. რისგან არის დაზღვეული ავტომობილი (სადაზღვევო შემთხვევები/სადაზღვევო რისკები) 7

3. რა შემთხვევებში არ გაიცემა ანაზღაურება (გამონაკლისები) 8

4. როგორ ხდება ზარალის ანაზღაურება 8

5. თქვენი ვალდებულებების შესახებ 11

ნაწილი II – მესამე პირის (პირთა) წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები 12

1. ტერმინთა განმარტება 12

2. რას ითვალისწინებს მესამე პირის (პირთა) წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა (სადაზღვევო შემთხვევა) 12

3. რა ანაზღაურდება 13

4. რა არ ანაზღაურდება (გამონაკლისები) 14

5. მესამე პირის (პირთა) წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევის გაფართოება 14

ნაწილი III – მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევის დაზღვევის პირობები 15

1. ტერმინთა განმარტება 15

2. რას ითვალისწინებს მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევის დაზღვევა (სადაზღვევო შემთხვევა) 15

3. რა ანაზღაურდება 16

4. მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევის დაზღვევის გაფართოება 17

ნაწილი IV – ზოგადი პირობები 18

1. ზოგადი გამონაკლისები 18

2. რა არის და როგორ განისაზღვრება სადაზღვევო თანხა და ფრანშიზა 19

3. რა არის სადაზღვევო პრემია და როგორ უნდა გადავიხადოთ იგი 20

4. დაზღვევის ხელშეკრულება 20

5. ინფორმაციის მიწოდება რისკის ხარისხის შეფასებისთვის 21

6. ხელშეკრულების/დაზღვევის მოქმედების ვადა 22

7. დაზღვევის/პოლისის შეწყვეტა 23

8. სადაზღვევო აქტი 25

9. თქვენი ვალდებულებები/როგორ მოვიქცეთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას 25

10. როგორ ხდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა 28

11. სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის გაცხადება 29

12. დავების განხილვის წესი 29

13. კონფიდენციალურობა 30

14. ინფორმაციის გაცემა 30

15. კონსიერჟის მომსახურება 31

ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის პირობები

წინამდებარე პირობები ძალაშია **ჩვენ** მიერ გაცემულ **სადაზღვევო პოლისთან** ერთად. **სადაზღვევო პოლისის** გარეშე წინამდებარე პირობებს იურიდიული ძალა არ გააჩნია.

ზოგადი ტერმინები

ქვემოთ მითითებული ტერმინები გამოიყენება წინამდებარე პირობებსა და/ან შესაბამის სადაზღვევო პოლისში და მათ ენიჭება შემდეგი მნიშვნელობები:

დამზღვევი – წარმოადგენს პირს, რომელიც აზღვევს ავტოტრანსპორტს და რომელთანაც უშუალოდ ფორმდება **დაზღვევის ხელშეკრულება** და რომლის ვალდებულებასაც წარმოადგენს სადაზღვევო პრემიის გადახდა;

დაზღვევის მოქმედების პერიოდი (სადაზღვევო პერიოდი) – **პოლისში** განსაზღვრული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც **თქვენი** ავტოტრანსპორტი დაზღვეულია და რომელი პერიოდის განმავლობაშიც დამდგარი შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას;

დაზღვეული ავტოტრანსპორტი – **პოლისში** მითითებული და **თქვენს** კანონიერ მფლო- ბელობაში არსებული ავტოტრანსპორტი;

ავტოტრანსპორტის ხნოვანება – პერიოდი, რომელიც აითვლება ავტოტრანსპორტის ტენიკურ დოკუმენტაციაში მითითებული წარმოების წლის 31 დეკემბრიდან.

დაზღვევის ხელშეკრულება – დოკუმენტი, რომელიც აწესრიგებს დაზღვევის გაფორმების შედეგად **ჩვენსა** და **თქვენ** შორის წარმოშობილ უფლება-მოვალეობებს და რომელიც შედგება **სადაზღვევო განაცხადის, სადაზღვევო პოლისისა** და წინამდებარე პირობებისგან **(დაზღვევის პირობები**);

მოსარგებლე – **თქვენ** მიერ დასახელებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას მიიღებს სადაზღვევო ანაზღაურებას;

სადაზღვევო შემთხვევა – მოულოდნელი მოვლენა, რომლის დადგომის შედეგად წარმოიშობა **ჩვენი** ვალდებულება ავანაზღაუროთ ზარალი დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

სადაზღვევო თანხა – **სადაზღვევო პოლისში** განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც წარმოადგენს ჩვენ მიერ ჯამურად გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების ზედა ზღვარს;

სადაზღვევო პრემია (პრემია) – თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოთ ავტოტრანსპორტის დაზღვევის შესაძენად; **სადაზღვევო პრემიის** ოდენობა დგინდება რისკის ხარისხის, ჩვენ მიერ განხორციელებული რეგრესული უფლების სტატისტიკური მაჩვენებლებისა და სხვა

მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინებით;

სადაზღვევო ანაზღაურება – თანხა, რომელიც **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას გაიცემა **ჩვენ** მიერ **თქვენს**, მოსარგებლის, დაზარალებულის, ან მისი მემკვიდრის სასარგებლოდ; სადაზღვევო ანაზღურება გაიცემა სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულ ფინანსურ მდგომარეობამდე აღდგენის მიზნით და არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება მოიცავდეს სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გაღებულ/ გასაღებ ხარჯებს.

სადაზღვევო განაცხადი (განაცხადი) – ჩვენ მიერ დადგენილი ფორმით თქვენ მიერ შევსებული კითხვარი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დასაზღვევი ავტოტრანსპორტის, **უფლებამოსილი მძღოლებისა** და რისკის შეფასებისთვის საჭირო სხვა გარემოებების შესახებ. **განაცხადი** ივსება **სადაზღვევო პოლისის** გაცემამდე და წარმოადგენს **დაზღვევის ხელშეკრულების** დადების აუცილებელ წინაპირობას;

სადაზღვევო პოლისი (პოლისი/სერტიფიკატი) – **ჩვენ** მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დაზღვევის ხელშეკრულების დადებას წინამდებარე პირობების შესაბამისად და ასახავს **დაზღვევის ხელშეკრულების** ძირითად პირობებს. ამასთან, თუ **პოლისში** დაფიქსირებული მონაცემები და წინამდებარე პირობებით განსაზღვრული დებულებები წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან, უპირატესობა პოლისს ენიჭება;

უფლებამოსილი მძღოლი – პირი, რომელიც პოლისში განსაზღვრულია როგორც უფლებამოსილი მძღოლი; **უფლებამოსილი მძღოლი** აუცილებლად უნდა იყოს არანაკლებ 21 წლის და მას უნდა გააჩნდეს მართვის უფლებამოსილება - მინიჭებული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;

უფლებამოსილი მძღოლი წარმოადგენს პირს, რომელიც დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას მოქმედებს **თქვენი** სახელით და, შესაბამისად, მის მიერ განხორციელებული ქმედება **დაზღვევის ხელშეკრულების** მიზნებისათვის განიმარტება როგორც **თქვენ** მიერ და **თქვენი** სახელით განხორციელებული ქმედება; წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დაზღვევა ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულ სატრანსპორტო საშუალებას მართავს **უფლებამოსილი მძღოლი**.

აქსესუარები – წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დაზღვევის მიზნებისათვის აქსესუარებად მოიაზრება ავტომანქანის ისეთი დეტალები, რომელთა დანიშნულება მხოლოდ დიზაინის ელემენტის ფუნქციით შემოიფარგლება, კერძოდ კი: სამარკო ემბლემა და კანტები;

ერთჯერადი ლიმიტი – გულისხმობს კონკრეტული სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ თანხობრივ ლიმიტს, რომლის გამოყენებისთანავე (მიუხედავად იმისა ასეთი ლიმიტი სრულად გაიხარჯა თუ არა) იგი სრულად ამოწურულად ითვლება;

24-საათიანი ავტო-ასისტანსი – გულისხმობს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში შემდეგი მომსახურებით უსასყიდლო სარგებლობას: საბურავის შეცვლის სამუშაოებს - მხოლოდ დაზღვეულის სათადარიგო საბურავით, მცირე ტექნიკური პრობლემების ადგილზე მოგვარებას, აკუმულატორის დამუხტვას, საწვავის მიწოდებას (საწვავის ღირებულებას დაზღვეული იხდის), დაზღვეული ავტოტრანსპორტის ავზიდან საწვავის ამოტუმბვა, იმ შემთხხვევაში თუ ადგილი ჰქოდნა შეცდომით სხვა საწვავის ჩასხმას და ლაფეტით (ევაკუატორით) მომსახურებას. ამასთან,

ლაფეტით (ევაკუატორით) მომსახურებების ტერიტორიული არეალია საქართველოს სახელმწიფოს კონტროლირებადი ტერიტორია;

კონსიერჟის მომსახურება – გულისხმობს, დამატებითი საფასურის გარეშე დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების გადაყვანასა და დამზღვევისათვის დაბრუნებას წინმამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისათვის და წესით;

ფრანშიზა – თანხა, რომელიც არ ექვემდებარება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას და რომელიც აკლდება ზარალის თანხის ოდენობას;

დაზღვევის ტერიტორია – შესაბამის სადაზღვევო პოლისში მითითებული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დაზღვევა;

გამომუშავებული სადაზღვევო პრემია – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

გზა – მოძრაობისათვის გახსნილი გზის ან ქუჩის მთელი ზედაპირი (მათ შორის ტრამვაის ლიანდაგი, ტროტუარი, გვერდულა, გამყოფ ზოლი, ველობილიკი), გზა შეიძლება იყოს როგორც მკვრივსაფრიანი (ასფალტის, ცემენტ-ბეტონის ან სხვა მსგავსი მასალის ან ქვაფენილის საფრის მქონე) ასევე ღორღიანი ან გრუნტოვანი.

გზის მიმდებარე ტერიტორია – ტერიტორია, რომელიც უშუალოდ გზას ეკვრის და არ არის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალების გამჭოლი მოძრაობისათვის (ეზოს, საცხოვრებელი მასივის, ავტოსადგომის, ბენზინგასამართი სადგურის, დაწესებულების და მსგავსი ტიპის ტერიტორია).

გარეგანი ზემოქმედება – გარეგანი ძალის მექანიკური ზემოქმედება, რომელიც არ წარმოადგენს ადამიანის ქმედებას, თუ ამ პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

დისტანციურად დადებული ხელშეკრულება – დაზღვევის ხელშეკრულება, რომლის დადება განხორციელდა მზღვეველსა და მომხმარებელს შორის მზღვეველის მიერ ორგანიზებული ერთი ან რამდენიმე დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით.

სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულება – დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც დადებულია მზღვეველსა და დამზღვევს შორის სარეწის გარეთ და მოითხოვს მათ ფიზიკურ თანაყოფობას; ხელშეკრულება, რომელიც დადებულია სარეწში ან დისტანციური კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც დამზღვევმა ხელშეკრულების დადების შესახებ ინდივიდუალური შეთავაზება უშუალოდ მიიღო მზღვეველისაგან სარეწის გარეთ მზღვეველისა და დამზღვევის ფიზიკური თანაყოფობისას:

ჩვენ, ჩვენი – მზღვეველი /"სადაზღვევო კომპანია ალდაგი";

თქვენ, თქვენი – დამზღვევი ან/და უფლებამოსილი მძღოლი (კონტექსტის შესაბამისად).

ამ ნაწილში მოცემული ცალკეული ტერმინების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და წინამდებარე პირობებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვა ტერმინების ცალკე განმარტებასაც. იმ შეთხვევაში, თუ მოცემულია ერთი და იმავე ტერმინის განმარტება, უპირატესობა უფრო კონკრეტულად და სრულად მოცემულ განმარტებას ენიჭება;

წინამდებარე პირობებში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ ჩვეულებრივი მნიშვნელობა. მასთან, თუ პირობებში გამოყენებული ტერმინების გაგება არაერთგვაროვანია, სხვადასხვა ინტერპრეტაციას შორის უპირატესობა ენიჭება საკანონმდებლო წესით განსაზღვრულ მნიშვნელობას, თუკი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ასეთს ითვალისწინებს.

ნაწილი I
ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები

1. ტერმინთა განმარტება

1.1 **ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულება** – ფულადი თანხა, რომელიც საჭიროა ადგილობრივ ბაზარზე დაზღვეული ავტოტრანსპორტის ანალოგიური მარკის, მოდელის და მსგავსი მახასიათებლების მქონე ავტოტრანსპორტის შესაძენად.

1.2. **დაზღვევის საგანი – შესაბამის სადაზღვევო პოლისში მითითებული სატრანსპორტო საშუალება**.

1.3. **სრული დაზიანება (განადგურება)** – სატრანსპორტო საშუალება ითვლება განადგურებულად, თუ ავტოტრანსპორტის აღდგენითი ღირებულება მისი საბაზრო ღირებულების 40%-ს ან მეტს შეადგენს, ან თუ განადგურებულია ავტოტრანსპორტის 40% ან მეტი ან თუ არსებობს შესაბამისი დასკვნა, რომ დაზღვეული ავტომობილი აღდგენას არ ექვემდებარება.

1.4. **ვანდალიზმი** – ამ დაზღვევის მიზნებისათვის ვანდალიზმი ნიშნავს დაზღვეული ავტომობილის მესამე პირის მიერ განზრახ დაზიანებას ან განადგურებას.

2. რისგან არის დაზღვეული ავტომბილი
(სადაზღვევო შემთხვევები / სადაზღვევო რისკები)

2.1. **სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს სადაზღვევო პერიოდში მომხდარი დაზღვეული ავტოტრანსპორტის გარეგანი ზემოქმედების შედეგად** ნაწილობრივი დაზიანება ან მთლიანი განადგურება, მათ შორის:

- ავტოსაგზაო შემთხვევით;
- ხანძრით ან აფეთქებით;
- სტიქიური უბედურებით;
- ავტოტრანსპორტზე საგნების დაცემით.

2.2. **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** ან მისი რომელიმე ნაწილის (გარდა გასაღებისა) დაკარგვაან დაზიანება, რომელიც გამოწვეულია ვანდალიზმის, ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის შედეგად ან მათი მცდელობის შედეგად.

სადაზღვევო შემთხვევების / სადაზღვევო რისკების ჩამონათვალი ამომწურავია; წინამდებარე დაზღვევა ფარავს მხოლოდ მითითებული სადაზღვევო შემთხვევებს, თუ კონკრეტული შემთხვევა არ ხვდება საგამონაკლისო პირობებში.

3. რა შემთხევვაში არ გაიცემა ანაზღაურება (გამონაკლისები)

3.1. არ ანაზღაურდება:

• ზარალი, გამოწვეული მესამე პირის (პირთა) მიერ ჩადენილი თაღლითურად მითვისებით, გაფლანგვით ან/და გამოძალვით ან მათი მცდელობით;

• ცვეთის, გაუფასურების (მათ შორის გაუფასურება დაკავშირებული სადაზღვევო შემთხვევის შედეგად განხორციელებულ შეკეთებასთან), მიმდინარე შეკეთების, პროფილაქტიკური მომსახურების ხარჯები;

• საბურავებთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საბურავ(ებ)ის დაზიანება შედეგად მოჰყვება დაზღვეულ რისკებს და, ამავდროულად, ასეთი შემთხვევის შედეგად, გარდა საბურავებისა, ავტოტრანსპორტის სხვა ნაწილებიც დაზიანებულია და ამგვარი დაზიანებების შედეგად ზარალის თანხა აღემატება შესაბამის ფრანშიზას;

• ნაწილობრივი დაზიანებისას, რომელიმე ბრენდის/ ნიშნის/ კომპანიის/მარკის შიდა ან გარე ნაწილების/გაუმჯობესებული დეტალების/შეფუთვის/დამატებითი კომლექტაციის ან სხვა აქსესუარების აღდგენის ან ჩანაცვლების ღირებულება, თუ აღნიშნული ნაწილების/გაუმჯობესებული დეტალების/შეფუთვის/დამატებითი კომლექტაციის ან სხვა აქსესუარების შესახებ არ იყო მითითებული სადაზღვევო განაცხადში. ასეთ შემთხვევაში ანაზღაურებას ექვემდებარება სტანდარტული ნაწილის/დეტალის/აქსესუარის (ასეთის არსებობისას) ღირებულება.

4. როგორ ხდება ზარალის ანაზღაურება

4.1. **ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის შედეგად ავტოტრანსპორტის დაკარგვის შემთხვევაში ან სრული დაზიანებისას:**

თქვენ მიიღებთ სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის ავტომობილის საბაზრო ღირებულების შესაბამის თანხას, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა, **ფრანშიზის, ევაკუაციის ხარჯების (ასეთის არსებობის შემთხვევაში)** გამოკლებით და დარჩენილი გადაუხდელი სადაზღვევო პრემიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით.

ან ჩვენ თქვენს სასარგებლოდ შევიძენთ თქვენს მიერ მოძიებულ და ჩვენთან შეთანხმებულ განაცხადში მითითებული მარკის, მოდელისა და სხვა მახასიათებლების შესაბამის მაგიერ ავტოტრანსპორტს სადაზღვევო თანხის ფარგლებში, ფრანშიზის გათვალისწინებით და ევაკუაციის ხარჯების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ამასთან, აღნიშნულზე გადაწყვეტილების მიღება, ანუ ანაზღაურების რომელი ფორმა იქნება შერჩეული, მხოლოდ ჩვენი უფლებამოსილებაა და ჩვენს არჩევანზეა დამოკიდებული.

4.2. იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილის დაკარგვა/განადგურებამდე გაცემული იყო ანაზღაურება და არ მოხდა სადაზღვევო თანხის აღდგენა, ასანაზღაურებელ თანხას

გამოაკლდება უკვე გაცემული თანხა.

4.3. მას შემდეგ, რაც გაიცემა **სადაზღვევო ანაზღაურება,** ავტოტრანსპორტის სრული განადგურების (მათ შორის, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობის გამო) საკუთრების უფლება ასეთ სატრანსპორტო საშუალებაზე - ისევე როგორც ნაწილობრივი დაზიანებისას ავტოტრანსპორტის დაზიანებულ ნაწილებზე - გადმოგვეცემა **ჩვენ**, შესაბამისად, **თქვენ** ვალდებული ხართ, ხელი მოაწეროთ ყველა იმ დოკუმენტს (და შეასრულოთ ყველა ის მოქმედება, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და აუცილებელია აღნიშნული მიზნისათვის, მათ შორის ავტოსატრანსპორტო საშუალების შსს მომსახურების სააგენტოში ჩვენს სახელზე რეგისტრაცია) და პირდაპირ მფლობელობაში გადმოგვცეთ ავტოტრანსპორტი ჩვენ მიერ მითითებულ ადგილას. ამასთან, ხსენებული უფლების რეალიზაცია **ჩვენ** მიერ შეიძლება განხორციელდეს ავტოტრანსპორტზე (მის ნაწილებზე) საკუთრების უფლების გადმოსვლით ან **თქვენ** მიერ ავტოტრანსპორტის (მისი ნაწილების) რეალიზაციის შემთხვევაში ფულადი ფორმით თანხის მიღების გზით, ამასთან, ავტოტრანსპორტის (მის ნაწილების) რეალიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს **თქვენ** წინასწარ ათანხმებთ ჩვენთან.

4.4. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მიერ ობიექტური მიზეზებით (რაც არ არის დაკავშირებული თქვენ მიერ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევასთან ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან) ვერ ხორციელდება ავ-ტოსატრანსპორტო საშუალებაზე/დაზიანებულ ნაწილებზე ჩვენთვის საკუთრების უფლების/მფლობელობის გადმოცემა წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესით და არ შევთანხმებულვართ ავტოტრანსპორტის/დაზიანებული ნაწილების რეალიზაციის წესსზე, ან/და სრულად განადგურებული ავტოტრანსპორტი დატვირთულია გირავნობით, ან/და რეგისტრირებულია სამართლებრივი შეზღუდვა/აკძალვა, ან/და არსებობს სხვა გარემოება, რაც შეუძლებელს ხდის ჩვენზე საკუთრების უფლების გადმოსვლას, ჩვენ უფლებამოსილი ვართ განადგურებული ავტოტრანსპორტის/დაზიანებული ნაწილების ნარჩენი საბაზრო ღირებულება გამოვქვითოთ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურებიდან ან, თუ სადაზღვევო ანაზღაურება უკვე გაცემულია - მოვითხოვოთ ასეთი თანხების ანაზღაურება **თქვენგან**. ამასთან, ასეთ შემთხვევაში ნარჩენი ღირებულების განსაზღვრა ხდება ჩვენი ან ჩვენ მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მიერ

4.5. **ავტოტრანსპორტის ნაწილობრივი დაზიანებისას:**

იმ შემთხვევაში, თუ ავტოტრანსპორტის ხნოვანება 5 წელს აღემატება:

4.5.1. **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ აგინაზღაუროთ დაზიანებული, მაგრამ ექსპლუატაციისათვის ვარგისი სათადარიგო ნაწილების შეკეთების ხარჯები ან, თუ დაზიანებული სათადარიგო ნაწილები შეკეთებას არ ექვემდებარება, მეორეული მოხმარების სათადარიგო ნაწილების ადგილობრივ ბაზარზე შეძენის და დაყენების ხარჯები,

4.5.2. იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტი **ჩვენ** მიერ მითითებულ შემკეთებელ პუნქტში იქნა გადაყვანილი, **თქვენ** გადაიხდით მხოლოდ ფრანშიზით გათვალისწინებულ თანხას, ხოლო დანარჩენი ხარჯები **ჩვენ** მიერ აუნაზღაურდება უშუალოდ შემკეთებელ პუნქტს.

4.5.3. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ გსურთ ჩვენ მიერ შემოთავაზებულ შემკეთებელ პუნქტში ავტომობილის გადაყვანა და ავტომობილი გადაყვანილი იქნება თქვენ მიერ შერჩეულ შემკეთებელ პუნქტში, ჩვენ გავცემთ სადაზღვევო ანაზღაურებას მას შემდეგ, რაც თქვენ წარმოგვიდგენთ თქვენ მიერ შერჩეული შემკეთებელი პუნქტის მიერ შედგენილ ხარჯთაღრიცხვას (ანგარიშფაქტურას, ინვოისს), თუმცა, ჩვენ უფლებამოსილნი ვართ

ანაზღაურება გავცეთ ჩვენი შემკეთებელი პუნქტის მიერ მოწოდებული გაანგარიშების ფარგლებში, ფრანშიზის გათვალისწინებით. ზემოხსენებული წესი არ გავრცელდება 5 წელზე ნაკლები ხნოვანების რომელიც შეძენილია შესაბამის ავტორიზებულ სერვის-ცენტრში. ამასთან, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების საბურავის დისკი ისე, რომ დაზიანება ხელს არ უშლის სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო ექსპლუატაციას, ჩვენ ავანაზღაურებთ მხოლოდ საბურავის დისკის შეკეთების ღირებულებას.

4.6. იმ შემთხვევაში, თუ ავტოტრანსპორტის ხნოვანება, რომელიც შეძენილია საქართველოში არსებულ შესაბამის ავტორიზებულ სერვისცენტრში , 5 წელს არ აღემატება და თქვენ მოითხოვთ, მისი აღდგენა/შეკეთება განხორციელდეს კონკრეტულ ავტორიზებულ სერვისცენტრში და/ან აღდგენითი/შეკეთების ღირებულება განისაზღვროს კონკრეტული შესაბამის ავტორიზებული სერვისცენტრის მიერ, ჩვენ უფლებამოსილი ვართ თქვენს სასარგებლოდ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურება გადავურიცხოთ უშუალოდ ასეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტს, ფრანშიზის გამოკლებით;

ამასთან, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების საბურავის დისკი ისე, რომ დაზიანება ხელს არ უშლის სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო ექსპლოატაციას, ჩვენ, ავანაზღაურებთ მხოლოდ საბურავის დისკის შეკეთების ღირებულებას. ავტორიზებულ სერვისცენტრში აღნიშნული მომსახურების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, შეკეთების/აღდგენის ღირებულება შესაძლოა განისაზღვროს სხვა შემკეთებელი საწარმოს მიერ.

4.7. იმ შემთხვევაში, თუ **ჩვენ** და **თქვენ** ვერ შევთანხმდით ზარალის საბოლოო ოდე-ნობაზე, ზარალის შეფასება მოხდება დამოუკიდებელი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე საექსპერტო დაწესებულების მეშვეობით. ამასთან, ზარალის შეფასებაზე გასაწევი ხარჯების რეგულირების საკითხი განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება **ჩვენი** სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს დავფარავთ **ჩვენ**;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება **თქვენი** სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს დაფარავთ **თქვენ**;

გ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება **ჩვენი და თქვენი** ერთობლივი გადაწყვეტილებითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევი ხარჯები თანაბრად ნაწილდება **ჩვენსა და თქვენ** შორის.

4.8. თუ ნაწილობრივ დაზიანებლი ავტოტრანსპორტი **სადაზღვევო შემთხვევის** გამო ვერ გადაადგილდება საკუთარი სვლით, ჩვენ **უზრუნველვყოფთ** დაზიანებული ავტოტრანსპორტის შეთანხმებულ შემკეთებელ პუნქტამდე ერთი **სადაზღვევო შემთხვევის** ფარგლებში ერთჯერადად გადაყვანას, თუ **მხარეთა** შეთანხმებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად აღნიშნული პუნქტი მოქმდებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარ სადაზღვევო შემთხვევებზე.

აღდგენის/შეკეთების ღირებულების გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება და შესაბამისად ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი შემკეთებელი პუნქტის ან ავტორიზებული სევისცენტრის (5 წელზე ნაკლები ხნოვანების ავტოტრანსპორტის შემთხვევაში) მიერ შედგენილი აღდგენის/შეკეთების ღირებულება. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დასადგენად აუცილებელია დაზიანებული ავტსატრანსპორტო საშუალების ჩვენ მიერ განსაზღვრული კომპეტენტური პირის მიერ დათვალიერება/ შეფასება.

4.9. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო თანხა ნაკლებია ავტოტრანსპორტის საბაზრო (სადაზღვევო) ღირებულებაზე **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის მომენტისათვის, ანუ ადგილი აქვს შემცირებულ (არასაკმარის) დაზღვევას, სადაზღვევო ანაზღაურების გამოანგარიშებისას გამოიყენება **პროპორციულობის მეთოდი**. პროპორციულობის მეთოდი გულისხმობს ანაზღაურების გაცემას იმ პროპორციის მიხედვით, რა პროპორციაშიც არის სადაზღვევო თანხა დაზღვევის მომენტისათვის ავტომობილის საბაზრო ღირებულებასთან. ამასთან, ფრანშიზა გამოიქვითება პროპორციულობის მეთოდის მიყენების შემდეგ.

მაგალითი: თუ თქვენი ავტომობილის საბაზრო ღირებულებაა 10,000 აშშ დოლარი, ფრანშიზა 250 დოლარი, ხოლო ავტოტრანსპორტი მხოლოდ 7,000 აშშ დოლარზეა დაზღვეული, სადაზღვევო თანხა, შესაბამისად, საბაზრო ღირებულების მხოლოდ 70%-ს შეადგენს. ამგვარად, თუ ზარალი არის 1,000 აშშ დოლარი, აგინაზღაურდებათ მხოლოდ 450 აშშ დოლარი (ანუ ასანაზღაურებელი თანხის 70%-ს მინუს ფრანშიზა).

4.10. თუ **თქვენ** წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დაზღვევის ინტერესი ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან დააზღვიეთ (ორმაგი დაზღვევა), **თქვენ** ვალდებული ბრძანდებით ამის თაობაზე დაუყოვნებლივ გვაცნობოთ და შესაბამის წერილობით შეტყობინებაში აღნიშნოთ სხვა მზღვეველების ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა. თუ **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის მომენტისათვის ავტოტრანსპორტი რამდენიმე მზღვეველთან აღმოჩნდება დაზღვეული ერთი და იმავე რისკისაგან და სადაზღვევო თანხები ჯამში საბაზრო ღირებულებას აჭარბებს, მაშინ მზღვეველები მოვალენი ვიქნებით **თქვენ** წინაშე, როგორც სოლიდარული მოვალეები, იმ თანხის ფარგლებში, რაც ჩვენ (მზღვეველებს) **თქვენთან** დადებული ხელშეკრულებით გვაქვს გაფორმებული, მაგრამ **თქვენ** არა გაქვთ უფლება, მიიღოთ ჯამში რეალურ ზიანზე მეტი თანხა.

მაგალითი: თქვენ დააზღვიეთ ავტომობილი 20,000 აშშ დოლარზე ჩვენს კომპანიაში და 25,000 აშშ დოლარზე სხვა სადაზღვევო კომპანიაში. მთლიანმა ზარალმა შეადგინა 15,000 აშშ დოლარი. ჩვენი წილი მთლიან ზარალში შეადგენს 6,666.7 აშშ დოლარს (15,000*20,000/(20,000+25,000), ხოლო მეორე სადაზღვევო კომპანიის წილი ზარალში განისაზღვრება 8,333.3 აშშ დოლარით (15,000*25,000/(20,000+25,000). ჩვენი წილის გამოანგარიშების შემდეგ მას გამოაკლდება ფრანშიზა, წინამდებარე პირობების დებულებების შესაბამისად.

5. თქვენი ვალდებულების შესახებ

საერთო ნაწილში ჩამოთვლილ ვალდებულებებთან ერთად, ამ პირობებით გათვალისწინებული დაზღვევის მიზნებისათვის **თქვენ** ვალდებული ხართ:

5.1. **ჩვენი** მხრიდან გატაცების საწინააღმდეგო სისტემის დაყენებაზე მოთხოვნისთანავე აღჭურვოთ **დაზღვეული ავტოტრანსპორტი** ამგვარი სისტემით და უზრუნველყოთ მისი გამართულ სამუშაო მდგომარეობაში ყოფნა;
თუ გატაცების საწინააღმდეგო სისტემა დამონტაჟდება სადაზღვევო პოლისის

გაფორმების შემდეგ, თქვენ უნდა წარმოგვიდგინოთ ამგვარის დამადასტურებელი საბუთი;

5.2. ავტოტრანსპორტის მეთვალყურეობის გარეშე დატოვების შემთხვევაში ჩაკეტოთ იგი და დარწმუნდეთ, რომ ყველა გატაცების საწინააღმდეგო სისტემა ჩართულია;

5.3. გამოიყენოთ ავტომობილი მხოლოდ **განაცხადში** მითითებული დანიშნულებით და დაიცვათ ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების ინსტრუქციები;

5.4. არ გადასცეთ დაზღვეული ავტოტრანსპორტი სამართავად არაუფლებამოსილ მძღოლს;

5.5 ავტოტრანსპორტის ქურდობის შემთხვევაში **თქვენ** უნდა წარმოგვიდგინოთ **დაზღვევის განაცხადში** მითითებული ყველა გასაღები და სიგნალიზაციის პულტი, ხოლო ძარცვა, ყაჩაღობის შემთხვევაში - სათადარიგო გასაღებ(ებ)ი და პულტი (ასეთის მითითებისას განაცხადში), წინააღმდეგ შემთხვევაში, **ჩვენ** ვიტოვებთ უფლებას უარი განვაცხადოთ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

5.6. **თქვენ** ვალდებული ხართ, მიიღოთ ყველა საჭირო და აუცილებელი ზომა, რათა თავიდან აიცილოთ დაზღვეული ავტომობილის დაზიანება **პოლისით** გათვალისწინებული მთლიანი **სადაზღვევო პერიოდის** განმავლობაში;

5.7. ჩვენ მიერ განსაზღვრული კომპეტენტური პირის მიერ დაზიანებული ავტომობილის შემოწმებამდე/ შეფასებამდე არ მოახდინოთ მისი შეკეთება.

ნაწილი II
მესამე პირის (პირთა) წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები

1. ტერმინთა განმარტება

1.1. **მესამე პირის (პირთა) წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევის საგანი - უფლებამოსილი მძღოლის** სამოქალაქო პასუხისმგებლობა (გარდა მორალური ზიანისა), რომელიც დგება **დაზღვეული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის** შედეგად მესამე პირთა გარდაცვალების ან მათი ჯანმრთელობის/ქონების დაზიანების შედეგად.

2. რას ითვალისწინებს მესამე პირის (პირთა) წინაშე
პასუხისმგებლობის დაზღვევა (სადაზღვევო შემთხვევა)

2.1. **სადაზღვევო შემთხვევას** წარმოადგენს **უფლებამოსილი მძღოლის მიერ** დაზღვეული ავტოტრანსპორტის **ექსპლუატაციის** შედეგად მესამე პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანი, რომელიც დგება დაზღვევის მოქმედების პერიოდში.

2.2. **მესამე პირი** – ამ დაზღვევის მიზნებისთვის მესამე პირს წარმოადგენს ნებისმიერი პირი, რომელიც არ არის დამზღვევი, დაზღვეული ავტოტრანსპორტის უფლებამოსილი მძღოლი, დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მგზავრი (ჩასხდომის ან გადმოსვლის პერიოდის ჩათვლით).

3. რა ანაზღაურდება

3.1. **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის დადასტურების შემთხვევაში, **სადაზღვევო თანხის** ფარგლებში, წინამდებარე პირობების გათვალისწინებითა და **ჩვენსა და თქვენ** შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ანაზღაურდება შემდეგი:

3.1.1. დაზარალებული მესამე პირების სიცოცხლის და/ან ქონების გადასარჩენად ან ზიანის შესამცირებლად გაწეული მიზანშეწონილი ხარჯები;

3.1.2. მესამე პირის პრეტენზიებთან დაკავშირებული სასამართლო ან სასამართლოს გარეშე პრეტენზიის განხილვის ხარჯები, აგრეთვე **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დადგენის ხარჯები (აღნიშნული ხარჯების ანაზღაურება ხდება **სადაზღვევო პოლისში** მითითებული სადაზღვევო თანხის 20%-ის ფარგლებში), თუ ისინი წერილობით იყო ჩვენთან შეთანხმებული; დაზარალებული პირისათვის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გადასახდელი კომპენსაცია. ამასთან, ანაზღაურების გაცემის საფუძველი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც თქვენ ან/და თქვენი წარმომადგენელი საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე თავად სცნობს სარჩელს ან მის ნაწილს ჩვენთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე;

სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მესამე პირი(ებ)სათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია, თუ ამგვარი კომპენსაციის ოდენობა წერილობითი გზით შეთანხმებულია **ჩვენთან** და, თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი შემდგომი პრეტენზია **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებით;

3.2. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე კომპენსაციის ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პოლისით განსაზღვრულ სადაზღვევო თანხას, გამოიანგარიშება შემდეგი წესით:

3.2.1 მესამე პირის გარდაცვალების ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში - მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა:

ა) ხელფასი (შემოსავალი), რომელიც დაზარალებულმა დაკარგა, თუ იგი ნაწილობრივ ან სრულად შრომისუუნარო შეიქნა.

ბ) დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია ჯანმრთელობის დაზიანებით, მათ შორის, მკურნალობის, დამატებითი კვების, მედიკამენტების, პროთეზირების, ზედამხედველობისა და მოვლის, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შეძენის, პროფესიული გადამზადების ხარჯები, თუ დადგენილია, რომ დაზარალებულს ესაჭიროება აღნიშნული ტიპის დახმარება და არ აქვს მათი უფასოდ მიღების უფლება;

გ) ხელფასის (შემოსავლის) ნაწილი, რომელსაც დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში დაკარგავენ შრომისუუნარო პირები, რომლებიც დაზარალებულის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ ან უფლება ჰქონდათ მიეღოთ მისგან სარჩო (რეგულარული გადახდების სახით);

3.2.2. თუ მესამე პირ(ებ)ს **ქონებრივი ზიანი** მიადგებათ, სადაზღვევო თანხის ფარგლებში **ჩვენ** ავანაზღაურებთ:

ა) ქონების სრული განადგურების შემთხვევაში – დაკარგული ქონების საბაზრო ან აღდგენითი ღირებულების ოდენობას, ხელყოფილი ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით, გაუფასურებისა და დარჩენილი დეტალების, რომელთა გამოყენებაც კიდევ შესაძლებელია, ღირებულების გამოქვითვით;

ბ) ქონების ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში – დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო შეკეთების ხარჯებს;

3.3. **სადაზღვევო შემთხვევით** გამოწვეული რამდენიმე ადამიანის სხეულის დაზიანების ან

გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მთლიანი ზარალის ოდენობა აღემატება ერთი **სადაზღვევო შემთხვევისთვის** გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ლიმიტს (ლიმიტის არარსებობის შემთხვევაში **პოლისში** მითითებულ სადაზღვევო თანხას), ანაზღაურება თითოეული დაზარალებულისათვის შემცირდება მიყენებული ზიანის საერთო ოდენობაში პასუხისმგებლობის ლიმიტის წილის გათვალისწინებით;

3.4. პოლისში ქვე-ლიმიტის არსებობის შემთხვევაში ანაზღაურების ოდენობა იზღუდება ამგვარი ქვე-ლიმიტის გათვალისწინებით;

3.5. ერთი შემთხვევით გამოწვეული დანაკარგი განხილულ იქნება ერთ **სადაზღვევო შემთხვევად**. არავის აქვს უფლება, ორჯერ მიიღოს ანაზღაურება, წინამდებარე დაზღვევის თანახმად, ერთი და იმავე ზიანისთვის ან ზიანის რომელიმე ელემენტისათვის;

3.6. მესამე პირ(ებ)ისადმი მიყენებული ზარალის ასანაზღაურებელი მთლიანი თანხა, შემთხვევების რაოდენობის მიუხედავად, არ შეიძლება აღემატებოდეს **პოლისით** ამ დაფარვისათვის გათვალისწინებულ სადაზღვევო თანხას/ლიმიტს.

4. რა არ ანაზღაურდება (გამონაკლისები)

საერთო ნაწილში ჩამოთვლილ გამონაკლისებთან ერთად დაზღვევით არავითარ შემთხვევაში არ იფარება დაზარალებული პირისათვის გადახდილი კომპენსაცია/დაზარალებული პირის წინაშე აღებული ან აღიარებული პასუხისმგებლობა, თუ ამგვარი მოხდა ჩვენი წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

5. მესამე პირის (პირთა) წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობების გაფართოება

5.1. სადაზღვევო შემთხვევას, ასევე, წარმოადგენს დამზღვევის მიერ **სხვა ავტოტრანსპორტის** მართლზომიერად მართვის შედეგად მესამე პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისთვის ზიანის მიყენება, რაც დაზღვევის ტერიტორიაზე და დაზღვევის მოქმედების პერიოდში მოხდა და რამაც წარმოშო დამზღვევის სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

ამასთან :

• ამ გაფართოების მიზნებისთვის, მესამე პირად არ მოიაზრება სხვა ავტოტრანსპორტის მესაკუთრე, ისევე როგორც სხვა ავტოტრანსპორტში მყოფი მგზავრ(ებ)ი, არც მგზავრობისას და არც ავტოტრანსპორტიდან /ავტოტრანსპორტში გამოსვლისას/ ჩასხდომისას.

• ეს გაფართოება არ მოქმედებს, თუ სხვა ავტოტრანსპორტი არის დამზღვევის ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ავტოტრანსპორტი.

• თუ ამ გაფართოებით დაფარული ზარალის წარმოქმნის მო მენტში ძალაშია ერთი ან რამდენიმე სხვა დაზღვევის ხელშეკრულება (მათ შორის - მესამე პირის სახელზე არსებული დაზღვევის ხელშეკრულება), რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებს ამ ზარალს, ამ გაფართოებით გათვალისწინებული ანაზღაურების ქვეშ მოექცევა მხოლოდ ის თანხა, რომლითაც წარმოქმნილი ზარალის სიდიდე აღემატება ზემოთ ხსენებული ყველა სხვა დაზღვევის ხელშეკრულებათა სადაზღვევო ლიმიტების ჯამს და ანაზღაურება მოხდება ამ გაფართოებისთვის განსაზღვრული, პოლისში მოყვანილი ლიმიტის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, სხვა დაზღვევის

ხელშეკრულება შეიცავს თუ არა ანალოგიურ დათქმას.

5.2. **წინამდებარე გაფართოებასთან მიმართებით გამოყენებული ტერმინები განიმარტება შემდეგნაირად:**

სხვა ავტოტრანსპორტი - დაზღვეული ავტოტრანსპორტისგან განსხვავებული ავტოტრანსპორტი, რომელშიც დამზღვევი მგზავრობს ან რომელსაც მართლზომიერად მართავს დამზღვევი.

ოჯახის წევრი - მეუღლე, შვილი, მშობელი, დედმამიშვილი

ნაწილი III
მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევის დაზღვევის პირობები

1. ტერმინთა განმარტება

1.1 **მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევის დაზღვევის საგანი** - მატერიალური ზიანი, რომელიც გამოწვეულია ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** უფლებამოსილი მძღოლის და/ან მისი მგზავრების ჯანმრთელობის დაზიანებით/გარდაცვალებით;

1.2. **დაზარალებული** – დაზღვეული ავტოტრანსპორტის უფლებამოსილი მძღოლი ან/და მგზავრი, რომელიც **სადაზღვევო პერიოდში** მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვლება ან რომლის ჯანმრთელობასაც მიადგება ზიანი;

1.3. **უბედური შემთხვევა** - დაზღვევის პერიოდის განმავლობაში მომხდარი, წინამდებარე პირობების I ნაწილის 2.1. პუნქტით გათვალისწინებული უეცარი მოვლენა, რომელმაც, თავის მხრივ, განაპირობა **უფლებამოსილი მძღოლისა** და/ან მგზავრების სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფა;

1.4. **პასუხისმგებლობის ქვე-ლიმიტი ერთ პირზე (ლიმიტი)** - ერთ პირზე **პოლისში** განსაზღვრული ანაზღაურების გადახდის ზღვრული ოდენობა;

1.5. **კიდურის/ორგანოს დაკარგვა** – კიდურის/ორგანოს ფუნქციის სრული მუდმივი და აღუდგენელი მოშლა ან ფიზიკური დაკარგვა (ფუნქციის მუდმივი მოშლა დგინდება სადაზღვევო შემთხვევის მომენტიდან 12 თვის თავზე)

2. რას ითვალისწინებს მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა (სადაზღვევო შემთხვევა)

2.1. **სადაზღვევო შემთხვევას** წარმოადგენს **სადაზღვევო პერიოდის** განმავლობაში წინამდებარე პირობების მე-3 ნაწილის 1.3. პუნქტით განსაზღვრული უბედური შემთხვევის დადგომა.

3. რა ანაზღაურდება

3.1. **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის დადასტურების შემთხვევაში თითოეულ დაზარალებულზე (ერთ პირზე) **პოლისით** განსაზღვრული **ქვე-ლიმიტის** ფარგლებში **ჩვენ** ავანაზღაურებთ:

3.1.1. დაზარალებულს **სადაზღვევო შემთხვევით** გამოწვეულ:

- გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობის ხარჯებს;
- საავადმყოფომდე მიყვანის ხარჯებს;
- საავადმყოფოში მკურნალობისა და ყოფნის ხარჯებს;
- კიდურების/ორგანოების დაკარგვისთვის გათვალისწინებულ კომპენსაციას;

3.1.2 დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში მის მემკვიდრეებს:

- ერთ პირზე მიმდინარე პასუხისმგებლობის ქველიმიტის 100%-ს, დაზარალებული ჯანმრთელობის მდგომარეობის აღდგენისათვის უკვე გადახდილი თანხების გამოქვითვით;

3.1.3. დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში, ანაზღაურების მიმღების არსებობის შემთხვევაში, **ჩვენ** ავანაზღაურებთ მხოლოდ დაკრძალვის ხარჯებს ერთ პირზე განსაზღვრული ქვე-ლიმიტის ფარგლებში;

3.2. გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობისა და დაზარალებული პირის უახლოეს საავადმყოფოში ტრანსპორტირების ხარჯები გამოითვლება შესაბამისი სამედიცინო ქვითრების/დოკუმენტაციის საფუძველზე, მაგრამ არაუმეტეს **200 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარისა** ერთ პირზე;

3.3. საავადმყოფოში მკურნალობაზე გონივრულად გაწეული, საავადმყოფოს ანგარიშფაქტურის მეშვეობითა და სათანადო დოკუმენტაციით დასაბუთებული ხარჯები, მაგრამ არაუმეტეს ერთ პირზე დადგენილი პასუხისმგებლობის ლიმიტის **20%-სა**;

3.4. კიდურის/ორგანოს დაკარგვისათვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა გამოითვლება ქვევით მოყვანილი საკომპენსაციო ცხრილის მიხედვით, **რომელშიც** 100%-ით ანაზღაურება უდრის შესაბამისი პასუხისმგებლობის ქვე-ლიმიტს ერთ პირზე (დაზარალებულის ჯანმრთელობის აღდგენისათვის/ტრანსპორტირებისათვის უკვე გადახდილი თანხების გამოქვითვით):

- ერთი თირკმლის დაკარგვა – 40%;
- ერთ ყურში სმენის დაკარგვა – 15%;
- ერთ ყურში სმენის დაკარგვა, თუ მეორეში სმენა უბედურ შემთხვევამდე იყო დაკარგული – 45%;
- ერთ თვალში მხედველობის სრული და სამუდამო დაკარგვა – 30%;
- მხედველობის 60%-ზე მეტით დაკარგვა ერთ თვალში – 20%;
- მხედველობის სრული დაკარგვა – 100%;
- ერთი კიდურის დაკარგვა – 40%;

3.5. რამდენიმე ორგანოს დაზიანების შემთხვევაში, პირველი პროცენტული ანაზღაურების შემდეგ, ყოველი შემდგომი დამატებითი პროცენტი გამოითვლება პასუხისმგებლობის ლიმიტის დარჩენილი თანხიდან;

მაგალითი: თუ პასუხისმგებლობის ქვე-ლიმიტი შეადგენს 10,000 აშშ დოლარსერთ პირზე და, თუ დაზარალებულმა ერთ ყურში სამუდამოდ დაკარგა სმენა, მას აუნაზღაურდება 1,500 აშშ დოლარი (10,000 –ის 15%). თუ დაზარალებულმა იმავე ან სხვა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ერთ თვალში სამუდამოდ დაკარგა მხედველობა, მას აუნაზღაურდება მხოლოდ 2,550 აშშ დოლარი, რაც უკვე შემცირებული ლიმიტის - 8,500 აშშ დოლარის -30%-ს წარმოადგენს

3.6. კიდურების დაკარგვაზე ან დაზიანებაზე გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდა ხორციელდება საავადმყოფოში მკურნალობის დასრულების და დაზიანების ხარისხის საბოლოო განსაზღვრის შემდეგ, მაგრამ მხოლოდ 1 წლის შემდეგ ორგანოს ფუნქციის მოშლის მომენტიდან იმ პირობით, რომ ამ პერიოდში დადასტურდება ორგანოს ფუნქციის სრული მუდმივი, შეუქცევადი მოშლა;

3.7. **სადაზღვევო შემთხვევით** გამოწვეული რამდენიმე ადამიანის მიერ სხეულის დაზიანების ან გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მთლიანი ზარალის ოდენობა აღემატება ერთი **სადაზღვევო შემთხვევისათვის** გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ლიმიტს (ლიმიტის არ არსებობის შემთხვევაში **პოლისში** მითითებულ სადაზღვევო თანხას), ანაზღაურება თითოეული დაზარალებული პირისათვის შემცირდება მიყენებული ზიანის საერთო ოდენობაში პასუხისმგებლობის ლიმიტის წილის გათვალისწინებით;

3.8. მთლიანი ასანაზღაურებელი თანხა ერთ პირზე, შემთხვევების რაოდენობისა და ზარალის მოცულობის მიუხედავად, არ უნდა აღემატებოდეს პოლისით გათვალისწინებულ ქვე-ლიმიტს ერთ პირზე;

3.9. ამ ნაწილის მიხედვით ასანაზღაურებელი თანხა, შემთხვევების რაოდენობისა და ზარალის ოდენობის მიუხედავად, არ უნდა აღემატებოდეს **პოლისით** გათვალისწინებულ **სადაზღვევო თანხის/ლიმიტის.**

4. მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევის დაზღვევის პირობების გაფართოება

4.1. სადაზღვევო შემთხვევას ასევე წარმოადგენს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დამზღვევის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება, რაც დაზღვევის ტერიტორიაზე და დაზღვევის მოქმედების პერიოდში მოხდა დამზღვევის მიერ სხვა ავტოტრანსპორტში მგზავრობისას ან მისი მართლზომიერად მართვისას.
ამასთან:

- წინამდებარე გაფართოებით არ იფარება არცერთი პირი, რომელიც დამზღვევის გარდა იმყოფება სხვა ავტოტრანსპორტში.
- ეს გაფართოება არ მოქმედებს, თუ სხვა ავტოტრანსპორტი დამზღვევის ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ავტოტრანსპორტია.
- თუ ამ გაფართოებით დაფარული ზარალის წარმოქმნის მომენტში, ძალაშია ერთი ან რამდენიმე სხვა დაზღვევის ხელშეკრულება (მათ შორის - მესამე პირის სახელზე არსებული დაზღვევის ხელშეკრულება), რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებს ამ ზარალს, ამ გაფართოებით გათვალისწინებული ანაზღაურების ქვეშ

მოექცევა მხოლოდ ის თანხა, რომლითაც წარმოქმნილი ზარალის სიდიდე აღემატება ზემოთ ხსენებული ყველა სხვა დაზღვევის ხელშეკრულებათა სადაზღვევო ლიმიტების ჯამს და ანაზღაურება მოხდება ამ გაფართოებისთვის განსაზღვრული, პოლისში მოყვანილი ლიმიტის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, სხვა დაზღვევის ხელშეკრულება შეიცავს თუ არა ანალოგიურ დათქმას.

4.2. **წინამდებარე გაფართოებასთან მიმართებით გამოყენებული ტერმინები განიმარტება შემდეგნაირად:**

სხვა ავტოტრანსპორტი - დაზღვეული ავტოტრანსპორტისგან განსხვავებული ავტოტრანსპორტი, რომელშიც დამზღვევი მგზავრობს ან რომელსაც მართლზომიერად მართავს დამზღვევი.

ოჯახის წევრი - მეუღლე, შვილი, მშობელი, დედმამიშვილი.

ნაწილი IV
ზოგადი პირობები

1. ზოგადი გამონაკლისები

ქვემოთ მოცემული გამონაკლისები ძალაშია ყველა ზემოთ განსაზღვრული (ნაწილი I, II, III) სადაზღვევო დაფარვისათვის

1.1. წინამდებარე პირობების თანახმად, დაზღვევა არ მოქმედებს და, შესაბამისად, დამდგარი ზარალი არ ანაზღაურდება, თუ ადგილი ჰქონდა:

1.1.1 ავტომანქანის ექსპლუატაციას/მართვას **მძღოლის** მიერ ალკოჰოლური, ან ნარკოტიკული ნივთიერების/საშუალების ზემოქმედების ქვეშ, მიუხედავად იმისა ზარალი მძღოლის მიზეზით/ბრალით დადგა თუ სხვა მესამე პირის მიზეზით/ ბრალით;

1.1.2 ავტოტრანსპორტის გამოყენებას სხვა დანიშნულებით, ვიდრე განაცხადშია დამზღვევის მიერ მითითებული; ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პოლისის გაცემისას ან/და სადაზღვევო შემთხვევის ხდომილებისას დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე გაცემულია ტაქსის ლიცენზია, წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დაზღვევის მიზნებისთვის ავტომატურად იგულისხმება, რომ ავტოტრანსპორტი გამოიყენება კომერციული დანიშნულებით. ამასთან, თუ კომერციული დანიშნულებით გამოყენება არ არის დამზღვევის მიერ მითითებული შესაბამის განაცხადში/სადაზღვევო პოლისში ან/და პოლისის დანართში, მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე;

1.1.3. ავტოტრანსპორტის სამშენებლო მოედანზე მართვას/ყოფნას;

1.1.4 დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების რალიში, რბოლაში, გამძლეობაზე ან ნებისმიერ სხვა შეჯიბრში ან ტესტირებაში მონაწილეობას;

1.1.5. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ისეთ ტერიტორიაზე ყოფნას/ექსპლუატაციას, რომელიც არ წარმოდგენს **გზას** ან **გზის მიმდებარე ტერიტორიას** და ჩვეულებრივ არ გამოიყენება ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობისთვის;

1.1.6. სახელმწიფოს სახელით მოქმედი ნებისმიერი ორგანოს/უწყების გადაწყვეტილების თანახმად საკუთრების საზოგადო მფლობელობაში გადაცემას, კონფისკაციას ან ჩამორთმევას ან ამგვარის მცდელობას; საომარ მოქმედებებს, მიუხედავად იმისა ომი გამოცხადებულია თუ არა; დაპყრობას, სამოქალაქო ომს, მასობრივ არეულობას, აჯანყებას, დიქტატორულ რეჟიმს, საგანგებო მდგომარეობას; ტერორიზმს ან მის ნებისმიერ გამოვლინებას, ასევე, სხვა ფორს-მაჟორულ გარემოებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანის მიყენება შედეგად მოჰყვა დაზღვეული ფორს-მაჟორული რისკების გამოვლინებას;

1.1.7. ქმედებას, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მზღვეველს უფლებამოსილებას ანიჭებს, უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურებაზე;

1.1.8. ავტოტრანსპორტის, როგორც ტვირთის, ტრანსპორტირებას, მის ჩატვირთვას, გადმოტვირთვას, ასევე, საზღვაო, სახმელეთო, სარკინიგზო ან სხვა სახის ტრანსპორტით, გარდა ლაფეტით გადაზიდვისა.

2. რა არის და როგორ განისაზღვრება სადაზღვევო თანხა და ფრანშიზა

2.1. სადაზღვევო თანხა არის **ჩვენსა და თქვენ** შორის შეთანხმების შედეგად **სადაზღვევო პოლისში** განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც წარმოადგენს ჩვენ მიერ თითეული სადაზღვევო დაფარვის მიხედვით გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების ზღვრულ ოდენობას.

2.2. ჩვენ შორის შეთანხმების საფუძველზე, **პოლისში** დადგენილი **სადაზღვევო თანხის** ფარგლებში შეიძლება განისაზღვროს ჩვენი პასუხისმგებლობის ქვე-ლიმიტი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების ზღვრულ ოდენობას:

2.2.1. თითოეული რისკისათვის;

2.2.2. თითოეული/ცალკეული **სადაზღვევო შემთხვევის** ან/და თითოეული დაზარალებულისათვის.

2.3. თუ **სადაზღვევო შემთხვევის** ანაზღაურების შემდეგ **თქვენ** მიერ დამატებითი პრემიის საფუძველზე არ მოხდება სადაზღვევო თანხის აღდგენა, **სადაზღვევო თანხა** შემცირდება ანაზღაურებული თანხის ოდენობით.

2.4. სადაზღვევო პოლისში ან დაზღვევის პირობებით განისაზღვრება ფრანშიზა, რაც წარმოადგენს თანხის იმ ოდენობას, რომელიც აკლდება მთლიან ანაზღაურებას და რომელზეც ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი;

2.4.1. პირობითი ფრანშიზა – თანხობრივად ან პროცენტულად გამოხატული პირობითი ზღვარი. თუ ზარალი ამ პირობით ზღვარზე ნაკლებია ან მისი ტოლია, ჩვენ მას არ ავანაზღაურებთ. თუ ზარალი აღემატება ამ პირობით ზღვარს, ჩვენ ავანაზღაურებთ ზარალის მთლიან ოდენობას;

2.4.2. უპირობო ფრანშიზა – ის მინიმალური თანხა ან პროცენტი, რომელიც ყოველთვის გამოაკლდება მთლიანი ზარალის ოდენობას;

2.4.3. თუ **პოლისში** ფრანშიზის ტიპი არ არის მითითებული, გამოიყენება უპირობო ფრანშიზა;

მაგალითი: თქვენ დააზღვიეთ თქვენი ავტომობილი 5,000 აშშ დოლარზე, პოლისის მიხედვით დაზიანებაზე ფრანშიზა 250 აშშ დოლარით განისაზღვრა, ხოლო ზარალმა 300 აშშ დოლარი შეადგინა, უპირობო ფრანშიზის შემთხვევაში ჩვენ ავანაზღაურებთ მხოლოდ სხვაობას ფაქტიურ ზარალსა და ფრანშიზის თანხას შორის, ანუ 300-250 აშშ დოლარი, რაც 50 აშშ დოლარს შეადგენს.

პირობითი ფრანშიზის შემთხვევაში ანაზღაურებას ექვემდებარება ზარალის მთლიანი ოდენობა იმ პირობით, რომ ზარალმა ფრანშიზის ოდენობას გადააჭარბა, ანუ, თუ ზარალმა შეადგინა 300 აშშ დოლარი, თქვენ სადაზღვევო ანაზღაურების სახით მიიღებთ 300 აშშ დოლარს, ხოლო, თუ ზარალმა შეადგინა 250 აშშ დოლარი ან ნაკლები, სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა.

2.4.4. ფრანშიზა შესაძლოა განისაზღვროს როგორც ყველა, ისე ცალკეული სახის ზიანისათვის სხვადასხვა მოცულობით.

3. რა არის სადაზღვევო პრემია და როგორ უნდა გადავიხადოთ იგი

3.1. სადაზღვევო პრემია წარმოადგენს დაზღვევის საფასურს, რომელიც **თქვენ** უნდა გადაგვიხადოთ წინამდებარე პირობების თანახმად და სადაზღვევო **პოლისით** დაწესებული და გათვალისწინებული წესითა და ვადებში.

3.2. სადაზღვევო პრემიის გადახდა ხდება ერთჯერადად ან განსაზღვრული პერიოდულობით, განვადებით. სადაზღვევო პრემიის გადახდის პერიოდულობა, ვადები და სხვა არსებითი პირობები განისაზღვრება **პოლისში** გაფორმებისას და მიეთითება პოლისშივე.
პრემიის დროულად, სადაზღვევო პოლისით დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში, ჩვენ გაძლევთ გადახდის ორკვირიან დამატებით ვადას. თუ ამ ორკვირიანი ვადის გასვლის შემდგომ ადგილი ექნება სადაზღვევო შემთხვევას, და გადახდა არ იქნება განხორციელებული, **ჩვენ** ვთავისუფლდებით ანაზღაურების ვალდებულებისგან.
ამასთან, პრემიის დროულად გადაუხდელობა უფლებას გვაძლევს ერთი თვით ადრე გაგაფრთხილოთ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ შევწყვიტოთ დაზღვევის ხელშეკრულება.

4. დაზღვევის ხელშეკრულება

4.1. იმისათვის, რომ **დაზღვევის ხელშეკრულება** გაფორმდეს, აუცილებელია შეავსოთ წერილობითი განაცხადი, წარმოგვიდგინოთ **თქვენი** პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა და **უფლებამოსილი მძღოლ(ებ)ის** მოქმედი მართვის მოწმობა. ამ დოკუმენტების საფუძველზე მომზადდება **პოლისი** და წინამდებარე პირობებთან ერთად გადმოგეცემათ თქვენ;

4.2. დაზღვევის ძალაში შესასვლელად, ასევე, აუცილებელია ავტოტრანსპორტის დათვალიერება **ჩვენი** უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ. **დაზღვეული ავტოტრანსპორტის გარე დაზიანებისაგან დაფარვა არ მოქმედებს მანამ, სანამ ჩვენი წარმომადგენელი არ დაათვალიერებს დაზღვეულ ავტოტრანსპორტს;**

4.3. **სადაზღვევო პოლისის** გაცემა ადასტურებს დაზღვევის ხელშეკრულების დადებას.

მხოლოდ **პოლისის** არსებობის შემთხვევაში **ჩვენ** ვალდებულნი ვართ **სადაზღვევო პრემიის** სანაცვლოდ **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას გადავიხადოთ **სადაზღვევო ანაზღაურება**;

4.4. **სადაზღვევო პერიოდში** პოლისის დაკარგვის შემთხვევაში **თქვენ** უნდა წარმოგვიდგინოთ წერილობითი განცხადება, რომლის საფუძველზეც, **ჩვენ** გავცემთ პოლისის დუბლიკატს (სათანადო გრიფით, რაც ადასტურებს, რომ **პოლისი** დუბლირებულია). **პოლისის** დუბლიკატის საიდენტიფიკაციო მონაცემები უცვლელი დარჩება, ხოლო დაკარგული **პოლისი** ძალადაკარგულად ითვლება და მის საფუძველზე წარმოდგენილი მოთხოვნები ანაზღაურებას არ ექვემდებარება;

4.5. **სადაზღვევო პერიოდში** სადაზღვევო დაფარვის პირობებში რაიმე ცვლილების შეტანის შემთხვევაში ამგვარი ცვლილებები უნდა აისახოს პოლისში ან მის დანართში, ხოლო პოლისსა და სადაზღვევო პირობებში შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა **პოლისს** მიენიჭება.

5. ინფორმაციის მიწოდება რისკის ხარისხის შეფასებისთვის

5.1. **ჩვენ** ვალდებულნი ვართ, გაგაცნოთ და გადმოგცეთ წინამდებარე **სადაზღვევო პირობები**;

5.2. **ჩვენ** გვაქვს უფლება სადაზღვევო **პოლისის** გაცემამდე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში **პოლისის** გაცემის შემდეგაც, მოგთხოვოთ ნებისმიერი დოკუმენტის წარმოდგენა, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება **სადაზღვევო შემთხვევის** ალბათობა;

5.3. დაზღვევის გაფორმებამდე აუცილებელი წესით უნდა შეგვატყობინოთ **თქვენთვის** ცნობილი ყველა გარემოების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის რისკის შეფასებაზე;

5.4. აუცილებელია, წერილობითი სახით დაუყოვნებლივ გვაცნობოთ **სადაზღვევო პოლისის** გაცემისას **ჩვენთვის** შეტყობინებულ გარემოებებში რაიმე ცვლილების შესახებ ან, თუ გამოვლინდა მანამდე არსებული, **თქვენთვის** უცნობი ან ახალი გარემოებები, თუ ისინი ზრდიან **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის რისკს;

5.5. ავტოტრანსპორტის გასხვისებისას აუცილებელია დაუყოვნებლივ წერილობით გვაცნობოთ გასხვისების ფაქტის შესახებ, ასევე, ახალი მფლობელის/მესაკუთრის ვინაობა და საკონტაქტო დეტალები; წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გასხვისების ფაქტიდან გასულია 2 (ორი) კვირა, ჩვენ ვთავისუფლდებით ზარალის ანაზღაურების ვალდებულებისაგან;

5.6. დაუყოვნებლივ შეგვატყობინოთ, რომ **უფლებამოსილი მძღოლების** სიას დაემატა ახალი მძღოლი, ამასთან, **უფლებამოსილ პირთა** სიაში ახალი პირის დამატება განხორციელდება შემდეგი წესით: **თქვენ** მიერ მითითებული პირი უფლებამოსილ მძღოლად ჩაითვლება, ასეთი დამატების წერილობით გაფორმების დღის 24 საათიდან, ხოლო, თუ **თქვენ** სურვილი გაქვთ კონკრეტული პირი უფლებამოსილ მძღოლად ჩაითვალოს ასეთის წერილობითი გაფორმებისთანავე, სავალდებულო პირობას წარმოადგენს **ჩვენი** წარმომადგენლის მიერ დაზღვეული ავტომანქანის დათვალიერება და მისი მხრიდან წერილობითი დადასტურება, რომ ახალი უფლებამოსილი პირის დამატების მომენტისათვის ავტომანქანა დაუზიანებელ მდგომარეობაში იმყოფება;

5.7. შეგვატყობინოთ **ავტოტრანსპორტის** გასაღების, ტექნიკური პასპორტის ან სიგნალიზაციის პულტის დაკარგვის, ასევე, ავტოტრანსპორტის გაუმჯობესების შესახებ წერილობითი ფორმით არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა ასეთი ფაქტის

დადგომიდან; ამასთან, ავტოტრანსპორტის გაუმჯობესებაზე სადაზღვევო დაფარვა გავრცელდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გაცემული იქნება **სადაზღვევო პოლისის** შესაბამისი დანართი.

5.8. **თქვენ** ვალდებული ხართ, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციისა, დაუყვნებლივ მოგვაწოდოთ ინფორმაცია **თქვენი** მისამართის/ადგილსამყოფელის ცვლილების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ მიერ მითითებულ მისამართზე **ჩვენ** მიერ გამოგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია/შეტყობინება ჩაითვლება **თქვენ** მიერ მიღებულად. ანალოგიური წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც **თქვენ** მიერ მითითებული მისამართი არასწორი ან ხარვეზის შემცველია.

5.9. ინფორმაციის **ჩვენთვის** მოწოდების ვალდებულება მოქმედებს მთელი **სადაზღვევო პერიოდის** განმავლობაში და არ შემოიფარგლება მხოლოდ რისკის ხარისხის შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაციით, არამედ იგი მოიცავს ანაზღაურების ოდენობის ან/და **ჩვენი** ვალდებულებების წარმოშობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას.

6. ხელშეკრულების/დაზღვევის მოქმედების ვადა

6.1. თუ **პოლისით** სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, **პოლისი** გაიცემა ერთი წლის ვადით.

6.2. დაზღვევა შედის ძალაში **სადაზღვევო პოლისში** მითითებული თარიღის პირველი დღის 24 საათიდან და მოქმედებს პოლისით გათვალისწინებული ვადის ბოლო დღის 24 საათამდე, თუ სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთან, **ჩვენ** არ ავანაზღაურებთ იმ **სადაზღვევო შემთხვევებს**, რომლებიც დადგება თქვენ მიერ პრემიის პირველი ან ერთჯერადი შესატანის გადახდამდე, ხოლო, თუ **სადაზღვევო პოლისი** მრავალწლიანია, როგორც პირველი, ისე ყოველი მომდევნო წლის პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის გადახდამდე.

6.3. რა შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს სადაზღვევო პირობები

6.3.1. სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში სადაზღვევო რისკის ზრდის შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია მოვითხოვოთ დაზღვევის პირობების შეცვლა ან დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდა. ჩვენ მიერ მიღებული ამგვარი გადაწყვეტილება თქვენთვის სავალდებულო ხასიათს ატარებს;

6.3.2. თქვენ მიერ გაცხადებული უარი დაზღვევის პირობების შეცვლაზე ან დამატებითი პრემიის გადახდაზე გვაძლევს უფლებას, გავაუქმოთ სადაზღვევო პოლისი აღნიშნული ცვლილებების დადგომის მომენტიდან და შევწყვიტოთ დაზღვევის მოქმედება წინასწარი ერთთვიანი ვადის დაცვით. ვადის დაცვა არ არის საჭირო, თუ სადაზღვევო რისკის ზრდა თქვენ მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული;

6.3.3. იმ გარემოებათა შეცვლის შემთხვევაში, რომლებიც გავლენას ახდენს დაზღვევის ხელშეკრულების არსებით პირობებზე, მათ შორის, რისკის ხარისხის ცვლილების, დაზღვევის მოცულობის, პოლისის მოქმედების ვადის ან სადაზღვევო პრემიის ოდენობის ჩათვლით, თქვენ გადმოგეცემათ ჩვენ მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული პოლისის დანართი.

7. დაზღვევის/პოლისის შეწყვეტა

7.1. დამატებითი ვადისა და გაფრთხილების გარეშე დაზღვევის მოქმედება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე წერილობითი შეტყობინების გარეშე შემდეგ გარემოებებში:

7.1.1. **პოლისით** განსაზღვრული **სადაზღვევო თანხის** ამოწურვისას;

7.1.2. თუ დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ გაქრება **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის შესაძლებლობა და შეწყდება **სადაზღვევო რისკის** არსებობა ნებისმიერი გარემოებით, გარდა **სადაზღვევო შემთხვევისა**;

7.1.3. თუ სადაზღვევო რისკის ზრდა **თქვენ** მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული;

7.1.4. თუ თქვენ მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდება შესაბამისი საბანკო დაწესებულებისათვის წერილობითი დავალების მიცემის გზით, რომლის თანახმადაც შესაბამისი ბანკი უაქცეპტო წესით ახორციელებს პოლისით შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით სადაზღვევო პრემიის თქვენი ანგარიშიდან ჩამოჭრასა და ჩვენთვის გადმორიცხვას და თქვენ ასეთ წერილობით დავალებას გააუქმებთ სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე და ასეთი გაუქმების თარიღამდე მინიმუმ 2 (ორი) კვირით ადრე ჩვენ წერილობითი ფორმით არ ვიქნებით ინფორმირებული ასეთი გაუქმების შესახებ და სადაზღვევო პრემიის გადახდის სხვა ფორმა არ იქნება ჩვენ შორის წერილობით შეთანხმებული ან, თუ სადაზღვევო პრემიის გადახდის (ანგარიშიდან ჩამოჭრის) თარიღისათვის საკმარისი თანხა არ იქნება თქვენს საბანკო ანგარიშზე, რის გამოც სადაზღვევო პრემიის უაქცეპტო წესით ჩამოჭრა ვერ განხორციელდება სრულად. აღნიშნულ შემთხვევებში დაზღვევა ავტომატურად შეწყდება თქვენ მიერ უკვე გადახდილი სადაზღვევო პრემიის სრულად გამომუშავების თარიღიდან.

7.2. დაზღვევის მოქმედება შესაძლებელია შეწყდეს ერთთვიანი ვადის დაცვით წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შემდეგ გარემოებებში:

7.2.1. **თქვენ** მიერ პოლისით გათვალისწინებულ ვადებში **სადაზღვევო პრემიის** გადაუხდელობისას. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად **სადაზღვევო პრემიის** დროულად გადაუხდელობა არ იწვევს დაზღვევის ავტომატურ შეწყვეტას. დაზღვევის მოქმედება წყდება ერთთვიანი ვადის დაცვით, **ჩვენ** მიერ თქვენთვის წინამდებარე დაზღვევის პირობების მე-4 ნაწილის 3.2. პუნქტით გათვალისწინებული წესით გამოგზავნილი შეტყობინების საფუძველზე ამავე პუნქტით დადგენილი პირობების შესაბამისად;

7.2.2. **სადაზღვევო რისკის** ზრდის შემთხვევაში **თქვენ** მიერ დამატებითი პრემიის გადახდაზე/პირობების ცვლილებაზე უარის გაცხადებისას;

7.2.3. ახალ მესაკუთრეზე ავტომანქანის **თქვენ** მიერ გასხვისებისას, თუკი **ჩვენ** აღარ გვსურს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება ახალ მეპატრონესთან;

7.2.4. **თქვენ** ან **ჩვენ** მიერ წინამდებარე დაზღვევის პირობების მე-4 ნაწილის 7.7. პუნქტით გათვალისწინებული წესის დაცვით.

7.3. **სადაზღვევო პოლისის** ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში **ჩვენ** ვიტოვებთ სადაზღვევო **პრემიის ნაწილს** იმ დროის პროპორციულად, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა დაზღვევა, ამასთან, გათვალისწინებული იქნება დამატებით წინამდებარე დაზღვევის პირობების მე-4 ნაწილის 7.4., 7.5., ან 7.6., მუხლების მითითებული პირობა.

7.4. **დაზღვევის პოლისის** ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტისას, იმ შემთხვევაში, თუ **ჩვენ** მიერ ანაზღაურებული ან/და **თქვენ** მიერ გაცხადებული ზარალების ჯამური ოდენობა ნაკლებია სადაზღვევო პრემიის 75%-ზე, ჩვენ მიერ დაბრუნებას ექვემდებარება გამოუმუშავებელი **სადაზღვევო პრემიის** 80%, ხოლო განვადებით სადაზღვევო პრემიის გადახდისას **გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის** 20% ექვემდებარება თქვენ მიერ ანაზღაურებას.

7.5. დაზღვევის პოლისის ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტისას, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ ანაზღაურებული ან/და თქვენ მიერ გაცხადებული ზარალების ჯამური ოდენობა აღემატება ან ტოლია სადაზღვევო პრემიის 75%-ს, თქვენ ვალდებული ხართ ნებისმიერ შემთხვევაში დაფაროთ გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია სრული

7.6. ოდენობით.

დაზღვევის პოლისის ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტისას, იმ შემთხვევაში, თუ პოლისის მოქმედების პერიოდში არ იქნება ანაზღაურებული ან/და გაცხადებული ზარალი, დაბრუნებას ექვემდებარება გამოუმუშავებელი **სადაზღვევო პრემიის** 90%, ხოლო განვადებით სადაზღვევო პრემიის გადახდისას, გამოუმუშავებელი

7.7. სადაზღვევო პრემიის 10% დაექვემდებარება **თქვენ** მიერ სრულად დაფარვას.

აუცილებელია ერთმანეთს წერილობით ვაცნობოთ **სადაზღვევო პოლისის** ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ შეწყვეტამდე არაუგვიანეს 30 დღისა, გარდა მე-4 ნაწილის 7.1. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც დაზღვევა შეწყდება

7.8. ამგვარი მოვლენის დადგომის მომენტიდან.

დამზღვევი უფლებამოსილია, ყოველგვარი საფუძვლის მითითების, ჯარიმისა და ზედმეტი გადასახადის გარეშე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე: დაზღვევის ხელშეკრულების დისტანციურად ან სარეწის გარეთ დადების შემთხვევაში – მისი

7.8.1. დადებიდან 14 დღის ვადაში.

დამზღვევი არ არის უფლებამოსილი, წინამდებარე პირობების 7.8 პუნქტის საფუძველზე უარი თქვას ხელშეკრულებაზე და, შესაბამისად, ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) სადაზღვევო ხელშეკრულებაზე, რომლის ფასი 30 ლარს არ აღემატება;

ბ) სადაზღვევო ხელშეკრულებებზე, რომლის მოქმედების ვადა უარის თქმის პერიოდზე ნაკლებია;

გ) ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დაზღვევის ხელშეკრულებაზე, როდესაც ძირითადი ხელშეკრულება არ მოიცავს უარის თქმის უფლებას;

დ) დაზღვევის ხელშეკრულებაზე, რომლის ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე განხორციელებულ ცვლილებაზე, რაც მზღვეველის კონტროლს არ ექვემდებარება და რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების ვადის განმავლობაში;

ე) თუ დამზღვევმა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის გასვლამდე პირდაპირ და მკაფიოდ მოითხოვა, დაზღვევის ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, მომსახურების მიღება და მზღვეველმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ შესაბამისი მომსახურების მიღებით იგი კარგავს უარის თქმის უფლებას.

7.9. **ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები:**

7.9.1. დაზღვევის პირობების 7.8 პუნქტის საფუძველზე, დამზღვევის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგად ქარწყლდება მხარეების მიერ დისტანციური ხელშეკრულებით ან სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო ის, რაც მხარეებმა მისი შესრულებით მიიღეს, მათ უბრუნდებათ;

7.9.2. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში,

7.9.2.1. მზღვეველი ვალდებულია:

ა) დამზღვევს გადახდილი პრემია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუბრუნოს სრულად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღის ვადაში. მზღვეველი ვალდებული არ არის, დამზღვევს დაუბრუნოს იმ დამატებითი ხარჯის ასანაზღაურებლად გადახდილი თანხა, რომელიც დაკავშირებულია დამზღვევის მიერ არასტანდარტული ან

მზღვეველის მიერ შეთავაზებული მიწოდების მომსახურებაზე უფრო ძვირი მიწოდების მომსახურების არჩევასთან;

ბ) თანხა აანაზღაუროს გადახდის იმავე საშუალებებით, რომელიც დამზღვევმა გამოიყენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამზღვევი გადახდის სხვა საშუალების გამოყენებაზე თანხმობას განაცხადებს და მას დამატებითი ხარჯი არ წარმოეშობა.

8. სადაზღვევო აქტი

8.1. მზღვეველის მიერ შედგენილ სადაზღვევო აქტს ხელს აწერს როგორც მზღვეველი, ისე დამზღვევი.

8.2. მხარეთა მიერ ხელმოწერილი სადაზღვევო აქტი წარმოადგენს მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს. დამზღვევის მიერ სადაზღვევო აქტის ხელმოწერამდე მზღვეველი უფლებამოსილია, არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება.

9. თქვენი ვალდებულებები/როგორ მოვიქცეთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

9.1. **თქვენ** ვალდებული ხართ:

9.1.1. დაუყოვნებლივ გამოიძახოთ საპატრულო პოლიცია და დაგვიკავშირდეთ ჩვენ შემთხვევის ადგილზე და მიიღოთ ყველა ზომა, რათა პატრულის და ჩვენი წარმომადგენლის მოსვლამდე შენარჩუნებულ იქნას ავტოსაგზაო შემთხვევის ხდომილების სახე, ამასთან, გაჩერებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაუდგენელი პირის ან დაუდგენელ ვითარებაში დაზიანების/განადგურების შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდეთ **ჩვენ და საპატრულო პოლიციას** და არ დაძრათ ავტოტრანსპორტი შემთხვევის ადგილიდან **ჩვენი** და **საპატრულო** პოლიციის წარმომადგენლების მოსვლამდე და მათ მიერ სიტუაციის შესწავლამდე (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ფოტოგრაფირება);

9.1.2. მიიღოთ ყველა ზომა, რათა უზრუნველყოთ **ჩვენი** რეგრესული მოთხოვნა მესამე პირების მიმართ, რომლებიც პასუხს აგებენ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებულ ზიანზე, რამდენადაც - გავცემთ რა სადაზღვევო ანაზღაურებას, **ჩვენ** მიერ გაცემული თანხის ფარგლებში **ჩვენზე** სრულად გადმოდის ის მოთხოვნის უფლება, რომელიც თქვენ გაგაჩნიათ ზარალის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის/ბრალეული მხარის მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ **თქვენი** მიზეზით **ჩვენ** ვერ ვისარგებლებთ რეგრესული მოთხოვნით, **ჩვენ** უფლებამოსილნი გავხდებით, უარი განვაცხადოთ სადაზღვევო ანაზღაურებაზე, ხოლო, თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემული იქნება, უკან მოვითხოვოთ თანხის დაბრუნება;

9.1.3. **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას დაუყოვნებლივ გვაცნობოთ შემთხვევის შესახებ **პოლისში** მითითებულ ნომერზე, ხოლო 3 დღის განმავლობაში მოგვაწოდოთ წერილობითი შეტყობინება **სადაზღვევო შემთხვევის** შესახებ;

9.1.4. მოგვაწოდოთ კომპეტენტური ორგანოების მიერ **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებით გაცემული ყველა საჭირო დოკუმენტი;

9.1.5. გაგვიწიოთ დახმარება **სადაზღვევო შემთხვევის** მიზეზებისა და შედეგების დადგენაში **თქვენი** შესაძლებლობების ფარგლებში;

9.1.5.1. მოგვაწოდოთ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი შეტყობინება **სადაზღვევო შემთხვევის** შესახებ;

ბ) სადაზღვევო პოლისის ორიგინალი;
გ) ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა;
დ) იმ პირის მძღოლის მოწმობა, რომელიც მართავდა ავტოტრანსპორტს **სადაზღვევო შემთხვევის** მომენტში;
ე) ცნობა საპატრულო პოლიციიდან მომხდარის შესახებ (შემთხვევის დადგომაზე პასუხისმგებელი პირის მითითებით);
ვ) წერილობითი მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებაზე;
ზ) საბანკო რეკვიზიტები;
თ) კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველის მიერ განსაზღვრული ყველა სხვა აუცილებელი საბუთი;
ი) ცნობა მძღოლის ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ ან ტოქსიკურ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ ყოფნის ფაქტის დადგენის თაობაზე (ალკოტესტი ან/და შესაბამისი ექსპერტის დასკვნა);
კ) ავტოსატრანსპორტო საშუალების სრული დაზიანებისას (განადგურებისას), ჩვენი მოთხოვნის შემთხვევაში - ცნობა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ გაცემული შესაბამისი ორგანოების მიერ.

9.2. ამ პირობების I ნაწილით გათვალისწინებული დაფარვის (ავტოტრანსპორტის დაზღვევის) ფარგლებში **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას **თქვენ**, ასევე, ვალდებული ხართ:

9.2.1. მიიღოთ ყველა შესაძლებელი და მიზანშეწონილი ზომა ავტოტრანსპორტის გადარჩენის, შემდგომი დანაკარგის ან ზიანის თავიდან ასაცილებლად და/ან შესამცირებლად, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაუგდებლად; ასეთი ზომების მიღებისას უნდა იმოქმედოთ ჩვენი ინსტრუქციების შესაბამისად, თუ ასეთი გაცემულია;

9.2.2. არ დაიწყოთ ავტოტრანსპორტის შეკეთება, სანამ ჩვენი წარმომადგენელი არ დაათვალიერებს ავტოტრანსპორტს და ჩვენგან არ მიიღებთ შესაბამის წერილობით დასტურს შეკეთების დაწყებაზე;

9.2.3. მოგვაწოდოთ შემდეგი დამატებითი საბუთები/ მტკიცებულებები:
- ავტოტრანსპორტის დაკარგვის/გატაცების შემთხვევაში რდობა/ძარცვა/ ყაჩაღობისას – სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დამადასტურებელი დოკუმენტი, მოწმეების სახელი, გვარი, საკონტაქტო დეტალები, პირადობის მოწმობის ნომერი;
- ავტოტრანსპორტის გარეგანი დაზიანების შემთხვევაში – ცნობა საპატრულო პოლიციიდან ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით ან მესამე პირ(ებ)ის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დამადასტურებელი დოკუმენტი;

9.2.4. სრულად დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩვენს საკუთრებაში გადაცემისას წინასწარ დაფაროთ ავტოსატრასნპორტო საშუალების მფლობელობასთან/ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი ადმინისტრაციული ჯარიმის, საურავის და/ან საჯარიმო სადგომზე ყოფნის ხარჯები (ასეთის არსებობისას), წინააღმდეგ შემთხვევაში ხსენებული თანხები დააკლდება ჩვენ მიერ სადაზღვევო ანაზღაურების სახით გასაცემ თანხას.

9.3. ამ პირობების II ნაწილით გათვალისწინებული დაფარვის - მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევის - ფარგლებში **თქვენ, ასევე,** ვალდებული ხართ:

9.3.1. დროულად შეგვატყობინოთ მესამე პირის დაზიანებული ქონების დათვალიერების/ექსპერტიზის ჩატარების დრო და ადგილი (მის შეკეთებამდე) და

ზარალის განსაზღვრის მიზნით მოგვცეთ საშუალება ჩავატაროთ დამოუკიდებელი ექსპერტიზა;

9.3.2. სისტემატურად შეგვატყობინოთ შემთხვევის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების კვლევის შესახებ და, აგრეთვე, მიიღოთ მონაწილეობა ასეთ გამოკვლევაში;

9.3.3. მიიღოთ ყველა ზომა იმისათვის, რომ დაზარალებულმა მხარემ **ჩვენ** მიერ ზარალის ანაზღაურებაზე მოთხოვნის განხილვამდე არ მიმართოს სასამართლოს;

9.3.4. საჭიროების შემთხვევაში გადმოგვცეთ **ჩვენ** ან **ჩვენ** მიერ მითითებულ პირს შემდეგი უფლებები:

• წარმოგადგინოთ თქვენ/დაზღვეული პირი სასამართლო პროცესში ყველა პროცესუალური უფლებამოსილებით, ქონებრივ მოთხოვნებზე პასუხისმგებლობის აღიარების (სარჩელის ცნობის) უფლების ჩათვლით;

• გავმართოთ მოლაპარაკებანი დაზარალებულ პირებთან და მათ წარმომადგენლებთან;

9.3.5. **ჩვენი** წერილობითი თანხმობის გარეშე არ აღიაროთ მესამე პირის მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებაზე, არ აიღოთ ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულება და არ აანაზღაუროთ მიყენებული ზიანი;

9.3.6. მოგვაწოდოთ შემდეგი დამატებითი დოკუმენტები:

ა) თითოეული დაზარალებულის სახელზე შედგენილი აქტი, რომელიც დაკავშირებულია ავტოსაგზაო შემთხვევასთან;

ბ) სამედიცინო დასკვნა და სხვა მსგავსი დოკუმენტები მესამე პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული დაზიანების სიმძიმისა და ხასიათის ან მისი გარდაცვალების მიზეზის შესახებ. აგრეთვე, ინფორმაცია ზიანის დადგომის მომენტისათვის დაზარალებულის ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ ან ტოქსიკურ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ შესაძლო ყოფნის შესახებ;

გ) ცნობა გარდაცვალების შესახებ და მემკვიდრეობის დამადასტურებელი საბუთები (დაზარალებული პირის სიკვდილის შემთხვევაში);

დ) საბუთები, რომლებიც ადასტურებენ მესამე პირთა მიმართ მიყენებული ზიანის კომპენსაციისათვის გაწეულ ხარჯებს;

ე) სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ დაზარალებულის ან მისი მემკვიდრეებისათვის სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად განსახორციელებელი გადახდების ოდენობას;

ვ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, რომელშიც დაფიქსირებულია თქვენ მიერ მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის ოდენობა, თუ პრეტენზიის განხილვა მოხდა სასამართლო წესით; ხოლო, თუ გადახდა განხორციელდა მხარეთა შეთანხმებით, ასეთი შეთანხმების ამსახველი წერილობითი დოკუმენტი.

9.4. ამ პირობების III ნაწილით გათვალისწინებული დაფარვის - მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის - ფარგლებში **თქვენი** დამატებითი ვალდებულებები **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას:

9.4.1. **თქვენ** უნდა უზრუნველყოთ, რომ დაზარალებულმა პირმა:

ა) დაუყოვნებლივ მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას და წერილობით შეგვატყობინოს შემთხვევის შესახებ;

ბ) გაიაროს სამედიცინო გამოკვლევა ჩვენ მიერ დანიშნულ ექიმთან (თუ ჩვენ ამას საჭიროდ ჩავთვლით);

9.4.2. დაზარალებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში ერთი კვირის განმავლობაში უნდა შეგვატყობინოთ ამგვარის შესახებ;

9.4.3. **თქვენ**, ასევე, უნდა მოგვაწოდოთ შემდეგი დამატებითი დოკუმენტები:

ა) სამედიცინო დოკუმენტაცია, რომლებიც ადასტურებენ ზიანის მიყენების თარიღს და დიაგნოზს (კონკრეტულად: სამედიცინო ფურცლის ასლი, სამედიცინო ექსპერტიზის მიერ შედგენილი დოკუმენტი, გარდაცვალების ცნობის დამოწმებული ასლი და ა.შ.);

ბ) დაზარალებულების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

გ) გარდაცვალების შემთხვევაში ცნობა გარდაცვალების შესახებ და მემკვიდრეობის დამადასტურებელი საბუთები;

დ) ცნობა საპატრულო პოლიციიდან შემთხვევის შესახებ.

9.5. კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკისა და თავისებურების გათვალისწინებით, **ჩვენ** ვიტოვებთ უფლებას საჭიროების შემთხვევაში მოვითხოვოთ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტები ან კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკის გათვალისწინებით შევამციროთ მოთხოვნილი დოკუმენტების ნუსხა. ამასთან, ხსენებული წარმოადგენს მხოლოდ ჩვენს უფლებამოსილებას.

10. როგორ ხდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა

იმ შემთხვევაში, თუ **თქვენ** არ გერიცხებათ სადაზღვევო პრემიის დავალიანება, **ჩვენ** გადავიხდით **სადაზღვევო ანაზღაურებას ჩვენ** მიერ სადაზღვევო აქტის ხელმოწერიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, თუ ადგილი არა აქვს ანაზღაურების გადადებას, როგორც ამას წინამდებარე პირობების შესაბამისი ნაწილი ითვალისწინებს; ამასთან, მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ზიანის მიყენების, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა შემთხვევის დადგომიდან და სადაზღვევო აქტის ხელმოწერიდან არაუადრეს 2 (ორი) თვისა.

10.2. ჩვენ უფლებას ვიტოვებთ გადავავადოთ სადაზღვევო ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ სადაზღვევო რისკის ხდომლების ფაქტთან დაკავშირებით უფლებამოსილი მძღოლის, დამზღვევის (მოსარგებლის) ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

10.3 **სადაზღვევო ანაზღაურების** ოდენობის გამოთვლა რეგულირდება წინამდებარე პირობების შესაბამისი ნაწილების (I, II, III) დებულებების შესაბამისად.

10.4. **ავტოტრანსპორტის** ნაწილობრივი დაზიანებისას **სადაზღვევო ანაზღაურების** გადახდა, **ჩვენი** გაწყვეტილების შესაბამისად, შესაძლებელია მოხდეს როგორც **თქვენთვის**/მოსარგებლისათვის ანაზღაურების გაცემის, ასევე დაზიანებული **ავტოტრანსპორტის** შეკეთების/აღდგენის მიზნებისათვის შესაბამის მომწოდებელთან პირდაპირი ანგარიშსწორების გზით.

10.5. **სადაზღვევო პრემიის** განვადებით გადახდის შემთხვევაში **სადაზღვევო ანაზღაურება** შემცირდება გადაუხდელი პრემიის ოდენობით, თუ ადგილი აქვს დაზღვეული ავტოტრანსპორტის სრულ დაზიანებას (განადგურებას) ან დაკარგვას ქურდობა /ძარცვა/ყაჩაღობის შედეგად.

10.6. თუ სადაზღვევო ანაზღაურების მომენტისათვის **თქვენ** გერიცხებათ დავალიანება, **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ, ანაზღაურების თანხიდან გამოვქვითოთ შესაბამისი დავალიანების თანხა.

10.7. ჩვენ ასევე უფლებას ვიტოვებთ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების თანხიდან გამოვქვითოთ ანაზღაურების გაცემის მომენტიდან დარჩენილი სადაზღვევო პერიოდისთვის თქვენ მიერ ჩვენთვის გადასახდელი სადაზღვევო პრემიის (ასეთის

არსებობის შემთხვევაში) თანხა.

11. სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის გაცხადება

11.1. **ჩვენ** შეგვიძლია უარი განვაცხადოთ **სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემაზე იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა შემდეგ შემთხვევებს:

11.1.1. **თქვენ** არ შეასრულეთ **თქვენზე** ამ სადაზღვევო პირობებით დაკისრებული ვალდებულებები;

11.1.2. არ მოგვაწოდეთ **სადაზღვევო შემთხვევის** შესახებ ინფორმაცია (შეტყობინება) იმ ვადაში, რომელიც შეთანხმებულია პოლისითა და წინამდებარე პირობებით და აღნიშნული შეუტყობინებლობით არსებითად შეილახა **ჩვენი** ინტერესები;

11.1.3. **თქვენ** მიერ წარმოდგენილი რისკის შეფასების/**სადაზღვევო შემთხვევის** აღიარების/**სადაზღვევო ანაზღაურების** ოდენობის გამოთვლისათვის საჭირო ინფორმაცია (დოკუმენტები) არის წინასწარი შეცნობით არაზუსტი ან ყალბი;

11.1.4. **თქვენ** უარი განაცხადეთ უზრუნველყოთ **ჩვენი** კომპანიის წარმომადგენლის მონაწილეობა **სადაზღვევო შემთხვევის** გამომწვევი მიზეზების, მიყენებული ზიანის სიდიდისა და **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებული სხვა მონაცემების მოკვლევა-მოძიებაში;

11.1.5. **თქვენ** არ წარმოგვიდგინეთ **ჩვენ** მიერ მოთხოვნილი ამ პირობებით გათვალისწინებული რომელიმე დოკუმენტი;

11.1.6. **თქვენ** უარი განაცხადეთ იმ საბუთების **ჩვენთვის** გადმოცემაზე, რომლებიც საჭიროა ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ რეგრესული მოთხოვნის წასაყენებლად;

11.1.7. **თქვენ ჩვენთან** წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე გადაუხადეთ მესამე პირს კომპენსაცია ან აანაზღაურეთ სასამართლო ან/და სასამართლოს გარეშე დაცვის ხარჯები;

11.1.8. თქვენ არ დაარეგისტრირეთ შემთხვევა საპატრულო პოლიციაში;

11.1.9. გადააცილეთ პრემიის გადაუხდელობის მიზეზით ჩვენ მიერ დადგენილ ორკვირიან ვადას;

11.1.10. ჩვენ მიერ დაზღვეულ ინტერესთან მიმართებით ადგილი ჰქონდა ორმაგ დაზღვევას, მაგრამ თქვენ ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ ჩვენთვის ინფორმაცია არ მოგიწოდებიათ წერილობითი ფორმით;

11.1.11. **თქვენ** გაასხვისეთ დაზღვეული ავტომობილი და ასეთი გასხვისების შესახებ **ჩვენთვის** არ გიცნობებიათ წერილობითი ფორმით და გასხვისების ფაქტიდან გასულია 2 (ორი) კვირა.

11.1.12. წინამდებარე პირობების 1-ლი ნაწილის 5.6. პუნქტით და მე-4 ნაწილის 6.2. და 9.1.2. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

11.2. **სადაზღვევო ანაზღაურების** გადახდაზე უარი წარგედგინებათ წერილობითი ფორმით, სადაც მოყვანილი იქნება ანაზღაურებაზე უარის გაცხადების დასაბუთებული მიზეზები.

12. დავების განხილვის წესი

12.1. წინამდებარე პირობების საფუძველზე განხორციელებულ დაზღვევასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავები გადაწყდება მოლაპარაკებების გზით, ხოლო თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში – საქართველოს სასამართლოს მეშვეობით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

12.2. ამ პირობების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევიდან გამომდინარე დავის/უთანხმოების არსებობის შემთხვევაში **მხარეები** უფლებამოსილნი არიან, მორიგების მიზნით მიმართონ ა(ა)იპ "საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის" (ს/კ 204878481) "დაზღვევის მედიაციას" სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე:(+995 32) 2555155, ელ. ფოსტის მისამართზე mediacia@insurance.org.ge. "დაზღვევის მედიაციის" მეშვეობით მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავთ სასამართლოს 12.1. პუნქტის შესაბამისად.

13. კონფიდენციალურობა

13.1. **თქვენ** და **ჩვენ** მიერ ერთმანეთისათვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია (მიუხედავად მისი ზეპირი, თუ წერილობითი ფორმისა), რომლებიც წარმოადგენს კომერციულ ან სხვა სახის ფასეულობას, ითვლება კონფიდენციალურად და წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს, თუ ეს დაკავშირებული არ არის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებასთან ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. მიუხედავად ზემოხსენებულისა, შესაბამისი სადაზღვევო პოლისის ხელმოწერით თქვენგან გვენიჭება უპირობო უფლება, **თქვენ** შესახებ **ჩვენს** ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია თქვენთან ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე გადავცეთ სს "საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო" (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის #06/5-51, საიდენტ. #204470740), რაც იწვევს თქვენს აღრიცხვას სს " საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში.

13.2. **ჩვენ** ვალდებული ვართ სათანადოდ დავიცვათ **თქვენი** პერსონალური ინფორმაცია, რომელიც **ჩვენთვის** ხელმისაწვდომი გახდა, **თქვენი** თანხმობით, სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნებისათვის; ამასთან, **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ დავამუშაოთ **თქვენი** პერსონალური ინფორმაცია სადაზღვევო მომსახურების შეთავაზებისათვის და **თქვენ** მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას, მესამე პირთათვის გადაცემის გზით, **ჩვენი** ინტერესების დაცვისათვის და დავამუშაოთ **თქვენი** პერსონალური მონაცემები კანონით დადგენილი წესით **დამუშავებაზე** უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

14. ინფორმაციის მიწოდება

14.1. დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ყველა შეტყობინება ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია თქვენ მოგეწოდებათ ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალებით, მათ შორის: ელექტრონული ფოსტის მისამართზე, ან/და ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით, ან/და განაცხადში მითითებულ მისამართზე/ადგილსამყოფელზე ინფორმაციის/შეტყობინების გაგზავნით.

14.2. იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევის განაცხადში მითითებული გაქვთ ელექტრონული ფოსტის მისამართი, ან/და ტელეფონის ნომერი, შეტყობინება ჩაბარებულად /მიღებულად ითვლება თქვენთვის მისი გამოგზავნის დღეს.

14.3. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ შეტყობინება გეგზავნებათ დაზღვევის განაცხადში მითითებულისგან განსხვავებულ ელექტრონული ფოსტის ან/და ტელეფონის ნომერზე, შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება თქვენ მიერ მისი მიღების დღეს თუ

შეტყობინების მიღება დადასტურებულია თქვენ მიერ.

14.4. მისამართის/ ადგილსამყოფელის/ელექტრონული ფოსტის ან/და ტელეფონის ნომრის თუ სხვა რეკვიზიტების ცვლილების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის დაუყოვნებლივ ჩვენთვის მოუწოდებლობის შემთხვევაში ჩვენ მიერ გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია/შეტყობინება ჩაითვლება თქვენ მიერ მიღებულად.

15. კონსიერჟის მომსახურება

15.1. **კონსიერჟის მომსახურებით** სარგებლობა დამზღვევს შეუძლია შემდეგი მომსახურების მიღების მიზნით:

- დაზღვეული ავტოტრანსპორტის რეცხვა.

**სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა დამზღვევს შეუძლია არაუმეტეს 12 (თორმეტი) ჯერ.*
***რეცხვა ხორციელდება მზღვეველის მიერ შერჩეულ სამრეცხაოში.*

- სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტოტრანსპორტის გადაყვანა შესაფასებლად/შესაკეთებლად.

- დაზღვეული ავტოტრანსპორტის გადაყვანა შემდეგი მომსახურების გაწევის მიზნით: ელექტრონული დიაგნოსტიკა, ზეთის, ფილტრების, აკუმულატორის, სამუხრუჭე ხუნდების, უსაფრთხოების ღვედის, საბურავების შეცვლა. ფრეონის დამატება.

**წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული მომსახურებების საფასური გადაიხდება დამზღვევის მიერ ავტოტრანსპორტის დაბრუნებამდე; მზღვეველი იტოვებს უფლებას, არ დააბრუნოს სატრანსპორტო საშუალება, თუ დამზღვევის მიერ გადახდილი არ არის კონკრეტული სერვისის საფასური სრულად;*

15.2. **კონსიერჟის მომსახურების** მიღების მიზნით დამზღვევი ვალდებულია აცნობოს აღნიშნულის შესახებ მზღვეველს არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე;

15.3. **კონსიერჟის მომსახურების** მიღება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 17:00 საათის ჩათვლით არის შესაძლებელი.

ᲗᲠᲘᲐᲛᲝ